პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 6 აგვისტო, 1949 წ. № 155 (8458). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ადგილობრივი საბჭოები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
აღვზარდოთ და გამოვაწრთოთ პროპაგანდისტთა კადრები— „პრავდის“ 5-VIII მოწინავე (მე-2 გვერდი).
კინოფარკვევი „პუშკინი საქართველოში“ (მე-3 გვერდი).
საბჭოთა კავშირში (მე-2 გვერდი).
მარცვლეულის მიმღებ პუნქტებში (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
ენვერ ხოჯა — ჩაიფუშა ტიტოს კოლონიზატორული გეგმები ალბანეთში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 8 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად **სიმინდისა და თამბაქოს** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medaლი **„ნამგალი და ურო“:**

1. **ალიევს** სადი აქპერის-ძეს — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მერგოლურს, რომელმაც 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 29,1 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

2. **ბენაშვილს** ალექსანდრე საბას-ძეს — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,4 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

3. **ბიგვავას** ალექსი გრიგოლის-ძეს — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ედაზის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,7 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

4. **ბიგვავას** ლუბა სოფრომის ასულს — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ედაზის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,7 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

5. **გელაშვილს** ქსენია ქარუმის ასულს—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 33,3 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

6. **დომბალიანს** ზარმიკ არუთინის ასულს — გაგრის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 20,8 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

7. **იოსავას** ევსევი ალექსანდრეს-ძეს — ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

8. **ქანთარიას** ოლღა გერასიმეს ასულს — ხობის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 89 ცენტნერი სიმინდი.

9. **უანჩაშვილს** თამარ დავითის ასულს — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 30,1 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

10. **კუტიბაშვილს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

11. **კუტიბაშვილს** გიორგი სანდროს-ძეს — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

12. **ლატარიას** ვალერიან გრიგოლის-ძეს — მშრომელთა დეპუტატების ხობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

13. **მაძღარაშვილს** ალექსი ივანეს-ძეს — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლურს, რომელმაც 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 36,4 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

14. **მაზიკასს** მაიმო მიხეილის ასულს — გაგრის რაიონის ლენინის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 17,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

15. **მასიმოვს** საიად ნაღი ოღლის — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 31,9 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

16. **მუთიძეს** ჯემალ ხასანის-ძეს — ბათუმის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

17. **სიორდიას** მიხეილ ალექსის-ძეს—პარტიის ხობის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

18. **თანდილაშვილს** გაიოზ ნიკოლოზის-ძეს — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,9 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

19. **თექნეჯიანს** ოვანეს ხაჩიკის-ძეს — გაგრის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 2,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 20 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო და 1 ჰექტარ ფართობზე 28,3 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

20. **ტერზიანს** აზგაი კარაპეტის ასულს — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 4,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 26,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

21. **ხმალაძეს** ევგენია საბას ასულს — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მერგოლურს, რომელმაც 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,1 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

22. **ხუფენიას** იასონ მაკვას-ძეს — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22,6 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

23. **ჩაჩიბაიას** პროკოფი დავითის-ძეს — ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

24. **ჭელიძეს** მურთაზ ხასანის-ძეს — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 23,2 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

25. **შაინიძეს** მეჯიდ დიმურალის-ძეს — ხულოს რაიონის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 25 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წ. 5 აგვისტო.

ადგილობრივი საბჭოები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადება

ახლოვდება ახალი სასწავლო წელი. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს სასწავლო წლისათვის წარმატებით შესახვედრად.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყოველგვარი პირობები, რათა კომუნიზმის მშენებელი ნორჩი თაობა აღიზარდოს ყოველმხრივ განვითარებული, განათლებული და მეცნიერების მწვერვალებს დაუფლებული. ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდას საფუძველი დაუყენებოს, არასრულ და სრულ საშუალო სკოლებში ეყრება. ამიტომ არის, რომ პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ ტიპის სკოლებში სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეს სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეებიდანვე.

ახალი სასწავლო წლისათვის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრა დიდ ორგანიზაციულ და ოპერატიულ მუშაობას მოითხოვს არა მარტო განათლების დარგის მუშაკებისაგან, არამედ ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციებისაგანაც. ამ მხრივ მოთხოვნები წელს გაცილებით მეტია.

მთავრობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლიდან სოფლის ყველა მოსწავლემ, რომელმაც დაამთავრა ან წინა წლებში დაუმთავრებია მეხუთე კლასი სავალდებულო წესით უნდა განაგრძოს სწავლა მეექვსე კლასიდან. ამ ღონისძიების გატარებით მთელი ჩვენი ქვეყანა მიმდინარე წლიდან პრაქტიკულად იწყებს ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას რვაწლედის ფარგლებში არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. გასაგებია, რომ ჩვენს რვაწლიან სკოლებს წელს ახალი მოსწავლენი გაცილებით მეტი ეყოლებათ, ვიდრე ნავარაუდევი იყო წლის დასაწყისში. სწორედ ეს გარემოება მოითხოვს ჩვენგან ახლავე ვიზრუნოთ მოსწავლეთა ამ ახალი კონტიგენტისათვის საკლასო ოთახების გამონახვისა და დაწყებულ სასკოლო შენობათა სასწრაფოდ დამთავრებისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრის საკითხი მარტო სახალხო განათლების ფრონტზე მომუშავეთა ზრუნვის საგანი როდია. იგი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და მისთვის ყოველდღიური ზრუნვა ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების წმიდა მოვალეობაა. სერიოზული ამოცანები აკისრიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, როძლებიც მოწოდებული არიან აქედანვე შექმნან ყოველგვარი პირობა სკოლების ნორმალური მუშაობისა და ბავშვების ნაყოფიერი სწავლისათვის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში იშვიათი იქნება ისეთი საბჭო, რომელსაც თავის სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე არ განეხილოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი, რომ ამ საკითხზე არ მიეღოს გაშლილი გადაწყვეტილება, არ დაესახოს პრაქტიკული ღონისძიებანი. მაგრამ გადაწყვეტილებათა მიღება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მთავარია დასახულ ღონისძიებათა შესრულება. ხოლო ისინი რომ განხორციელდეს, საჭიროა ყოველდღიური კონტროლი შესრულებისადმი, საბჭოების, განათლების ორგანოების ოპერატიული და მოქნილი მუშაობა.

კარგად მოიქცა მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭო, როდესაც ამას წინათ სესიაზე სპეციალურად განიხილა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. სესიამ შეაჯამა გაწეული მუშაობა და გამოამჟღავნა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს ქალაქისა და მის გარშემო მდებარე სოფლების სკოლებს სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, მაგრამ საქალაქო საბჭოს აღმასკომი ამით როდი დაკმაყოფილდა. დეპუტატებისა და აქტივისაგან მან შექმნა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ცალკე სკოლებს მიამაგრა დასახმარებლად, ამასთან თავის საფინანსო განყოფილებას დაავალა შეუფერხებლად გაეცა თანხები სკოლებისათვის წარდგენილ მოთხოვნილებათა მიხედვით. აღმასკომი თავის სხდომებსა და თათბირებზე კვირაში ერთხელ მაინც იხილავს სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას. ადგილობრივი საბჭოს ასეთი მზრუნველობის შედეგად ფოთის სკოლები წარმატებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის.

მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ. მაგალითად, ცაგერის რაიონში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, ჯერაც არიან სკოლები, რომლებსაც სასწავლო წლისათვის მზადება არ დაუწყიათ. ამ რაიონის სოფელ ოყურეშის საშუალო სკოლის სახურავი მთლიანად გამოცვლას საჭიროებს, 10 სასკოლო ოთახი შესაკეთებელია, გასარემონტებელია 50 მერხი და სხვა ინვენტარი. ეს ამბავი ოყურეშის სასოფლო საბჭოსათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მას სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი არათუ სესიაზე, აღმასკომის სხდომაზეც კი არ განუხილავს. არც ალპანისა და ზოგიშის რვაწლიანი სკოლები არიან მზად სასწავლო წლისათვის. მზადებაში ჩამორჩენიან ტვიშის, ლასურიაშისა და ზუბის რვაწლიანი სკოლებიც. ასეთ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის „ჩაურევლობის“ პოზიცია. როგორც ჩანს, აქ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მთლიანად მიანდეს მხოლოდ განათლების განყოფილებას და მის მუშაკებს.

ახალი სასწავლო წლისათვის სუსტად მზადების შესახებ იტყობინებიან ახმეტის, კაჭრეთის, ახალქალაქის, საჩხერის, ჩხარის, ზემო სვანეთისა და მთელი რიგი სხვა რაიონების სოფლებიდან. როგორც ამ წერილებიდან ჩანს, სასოფლო საბჭოები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს თანმიმდევრობით არ ასრულებენ. შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მუხლი კი სწორედ იმის უზრუნველყოფა იყო, რომ სკოლები ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდნენ ახალ სასწავლო წელს.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან აგვისტოს დღეები მაქსიმალურად გამოიყენონ სკოლების და მასწავლებელთა სახლების რემონტის დამთავრების, სკოლების სასწავლო ნივთებითა და სხვა საჭირო ინვენტარით შევსებისათვის. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მტკიცე კონტროლი უნდა გაუწიონ თავიანთ საფინანსო ორგანოებს, რათა მათ არ გააჭიანურონ ან არ შეაფერხონ სკოლების დაფინანსება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლებს ახლავე მიეცეთ როგორც რემონტისათვის, ისე ინვენტარისა და სასწავლო ნივთების შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

ადგილობრივი საბჭოების ოპერატიულ მუშაობაზე, მათდამი პარტიული ორგანიზაციების ქმედით დახმარებასა და ხელმძღვანელობაზე დიდად არის დამოკიდებული საქმის წარმატება. უნდა შევძლოთ, რომ პარტიული და საბჭოთა აქტივის მთელი ყურადღების მობილიზაციით გავაძლიეროთ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, ჩვენი ბავშვებისათვის შევქმნათ ყველა პირობა, რათა ისინი სწავლის დაწყების პირველ დღესვე შეუდგნენ ნაყოფიერ სწავლას თვითეულ სკოლასა და თვითეულ კლასში.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს აუკრძალა მარცვლის, ფქვილისა და გამომცხვარი პურის გაყიდვა და გაცვლა 1949 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე, აგრეთვე მზესუმზირას გაყიდვა და გაცვლა 1949 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მზესუმზირას ჩაბარების გეგმის შესრულებამდე. (საქდესი).

უკრაინაში გაემგზავრა ქართველ მწერალთა დელეგაცია

7 აგვისტოს უკრაინის სსრ ქალაქ მირგოროდში გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ძეგლი.

დიდი პოეტის ძეგლის გახსნის გამო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ მირგოროდს, უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის მიწვევით, თვითმფრინავით გაემგზავრა ქართველ მწერალთა დელეგაცია, რომელშიც შედიან: კ. კალაძე (თავმჯდომარე), ს. შანშიაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი ა. ბარამიძე, ბ. ელენტი და მაყვალა მრევლიშვილი. (საქდესი).

ტექნიკური გაუმჯობესებანი საელმავლო დეპოში

თბილისის საელმავლო დეპოში ფართოდ არის დანერგილი შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია. დეპოს კოლექტივს შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით შემდგომი გაუმჯობესებანი შეაქვს ტექნიკაში. ელმავლის ასაწევად აქ იყენებენ ძმიმე დომკრატებს, რომელთაგან თვითეულს 25 ტონა ტვირთის აწევა შეუძლია. დეპოს სპეციალისტებმა განახორციელეს ამ დომკრატების ელექტროფიცირება.

დიზელის საამქროში გამართეს სპეციალური ურიკა შეკეთების დროს დიზელის მომსახურებისათვის და სპეციალური ამწე, რომლითაც წარმოებს დიზელის ნაწილების მოხსნა და დაყენება. დეპოში გამართეს აგრეთვე 5 ტონიანი ამწე, ელექტროსამანქანო საამქროში მოაწყეს ვაკუმის გასაღენთი. მიმდინარეობს ელექტროლუმელის აგება ლოკომოტივთა გოგორწყვილების დასაშლელად.

ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელებაში დიდ როლს ასრულებენ სტახანოველი რაციონალიზატორები. წელს მათ 25 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. ელექტროსაამქროს ოსტატის ვ. ბატკუაშვილისა და დეპოს ლაბორატორიის გამგის ნ. ერმაკოვის წინადადებით ტრანსფორმატორის გაციებისათვის მოეწყო ვენტილაცია.

100.000 მანეთის ეკონომია

ფოთი. (საკ. კორ.). სერიოზულ მუშაობას ეწევა ნავსადგურის რაციონალიზატორთა ბიურო. წელს ბიუროში შემოტანილია 35 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან მიღებულ იქნა 23, ხოლო წარმოებაში დანერგილია 18. წინადადებათა განხორციელების შედეგად ნავსადგურმა 100.000 მანეთი ეკონომია მიიღო.

უსაფრთხოებისა და სამრეწველო სანიტარიის ერთთვიური

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის მრეწველობაში მოეწყო შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის დათვალიერების ერთთვიური. მასში მონაწილეობდნენ მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები. ერთთვიურის მიზანი იყო უსაფრთხოების წესების ზუსტად დაცვა, წარმოების კულტურის ამაღლება.

ერთთვიური ორგანიზებულად მოეწყო ლენინის სახელობის მაღაროში. აქ 80-მდე წინადადება შემოვიდა, რომელთა განხორციელებით წესრიგში მოიყვანეს მაღაროს უბნები. მაღაროს მთავარ საზიდებში მოეწყო კარგი ელექტროგაყვანილობა, ისე რომ მუშებს ინდივიდუალური განათების გარეშე შეუძლიათ მოძრაობა.

250 მეტრზე, იქ სადაც უბნებში ტალახიანი გზები იყო, დაიგო ფიცარი და ახლა აქ დაცულია სისუფთავე. გაუმჯობესდა მაღაროში გამაგრების საქმე, უბნები და მაღაროს ტერიტორია გაწმინდა.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვისა და წარმოების კულტურის გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკაში, რომელსაც ინჟინერი ვ. საღინაძე ხელმძღვანელობს.

ტრესტის მმართველობამ შეაჯამა ერთთვიურის შედეგები. თითო თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი ა. ფხალაძე და მთავარი ინჟინერი ვ. ზამთარაძე. გამოყოფილია თანხა იმ მუშაკების დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ერთთვიურის ჩატარებაში.

სოციალისტური შრომის გმირები



ბ. ბ. შკირია

მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.517 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის

ვ. ს. ევსტაფიევა

ბათუმის რაიონის გონიოს ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 460 ფორთოხლის მოყვანისათვის.

ვ. ლ. მიქელაძე

ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ზ. ვ. რიაშენცევა

მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 415 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 1.235 მანდარინის მოყვანისათვის.

პარტიული ცხოვრება

სამშენებლო ობიექტებზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გაძლიერდეს

მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტმა თავის პლენუმზე განიხილა საკითხი „ქალაქ თბილისში საუწყებო საბინაო მშენებლობის შესახებ". პლენუმმა ყურადღება გაამახვილა მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ რაც უფრო უნარიანად მოეწყობა მშენებლობაზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მით უფრო ჩქარი ტემპით და ხარისხიანად შესრულდება ესა თუ ის სამუშაო. პლენუმზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ მშენებლობებზე ან სრულებით არ არიან პარტიული ორგანიზაციები ანდა უმოქმედობას იჩენენ. პარტიულ კრებებზე არ იხილავენ მშენებლობის ჩქარი მეთოდის დანერგვის, სამუშაოთა ხარისხის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, საშენ მასალათა ეკონომიის საკითხებს, მოუმზადებლად ტარდება პარტიული კრებები და სხვ.

პლენუმის გადაწყვეტილებიდან მთელმა რიგმა სამშენებლო პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული დასკვნები გააკეთეს, მთავარი ყურადღება მიაქციეს მშენებელ მუშათა შორის მასობრივ-პოლიტიკურ და ამზრდელობით მუშაობას, სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვას. მთელ რიგ მშენებლობებზე კომუნისტები მოწინავეთა რიგებში არიან, წარმატებით იბრძვიან დავალებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ტრესტ „საქმშენის" ყველა სამშენებლო ობიექტის შესახებ. დავასახელებთ კონკრეტულ ფაქტებს.

ტრესტ „საქმშენის" ერთ-ერთ მსხვილ სამშენებლო ობიექტად ითვლება მთავრობის სასახლის ფასადის ახალი კორპუსის მშენებლობა. მშენებელთა კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტი ამხ. კ. კობალაძე, თუმცა მეორე კვარტალის გეგმა 152 პროცენტით შეასრულა, რაც სამეურნეო ხელმძღვანელთა თავდადებული მუშაობით უნდა აიხსნას, მაგრამ ამ ორგანიზაციაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კარგად რომ იყოს დაყენებული, ეჭვი არ არის, შედეგები უკეთესი იქნებოდა.

მართალია მშენებლობის პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი ა. მაკარაშვილი), სისტემატურად იწვევს პარტიულ კრებებს, სწავლობს და იხილავს საწარმოო ხასიათის საკითხებს, გამოაქვთ საქმიანი დადგენილებანი, მაგრამ მშენებელთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი ოთხი აგიტატორი საკმაო არ არის. აგიტატორები ინჟინრები გ. ცერცვაძე, კ. მაისურაძე და ელექტრომონტიორი კ. კამაროვი გაერთიანებული არ არიან აგიტკოლექტივში, რადგან ობიექტზე ეს უკანასკნელი არ არსებობს. მშენებელი მუშებისათვის ნაკლებად ეწყობა ლექციები აქტუალურ საკითხებზე. მიუხედავად პარტორგანიზაციის მრავალჯერ მოთხოვნისა, საერთაშორისო მდგომარეობაზე ლექციების მოწყობა რაიკომმა აქამდე ვერ მოახერხა. პარტორგანიზაცია ნაკლებად ამოწმებს მიღებული დადგენილების შესრულებას. უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში აგიტატორების მუშაობა ერთხელაც არ შეუმოწმებიათ. პარტორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს კედლის გაზეთ „მშენებლის" მუშაობას. წელს ამ გაზეთის მხოლოდ სამი ნომერი გამოვიდა.

თუ გავეცნობით „საქმშენის" დანარჩენ სამშენებლო ობიექტების მუშაობას, იქ უარეს მდგომარეობას ვნახავთ. მაგალითად, „საქმშენის" № 2 სამშენებლო კანტორის (უფროსი ამხ. ვ. კალატოზიშვილი) სამშენებლო ობიექტები რამდენიმე კილომეტრით არიან დაშორებული ერთმანეთს. ეს რთული პირობები პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვენ განსაკუთრებით მოქნილ მუშაობას, რათა თვითეული უბანი, თვითეული მშენებელი გრძნობდეს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ, მაორგანიზებელ ძალას. ამ კანტორის სამშენებლო ობიექტზე კი პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. ნებულიშვილი) მეტად სუსტად მუშაობს. აღნიშნულ ორგანიზაციაში მოუწესრიგებელია პარტიული მეურნეობა, რეგულარულად არ იმართება პარტიული კრებები. მაგალითად, გასული წლის დეკემბერსა და მიმდინარე წლის მაისში პარტიული კრება არ ჩატარებულა; პარტიის წევრ-კანდიდატთა შორის განაწილებული არ არის პარტიული დავალებები, კომუნისტების მსჯელობის საგანი არასოდეს არ გამხდარა მშენებლობის მტკივნეული საკითხები, არ ზრუნავენ მშენებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მშენებელ-მუშაკთა და კომუნისტთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა არსებითად ჩაშლილია. კომუნისტები პარტიული განათლების არც ერთ ფორმაში არ არიან ჩაბმული. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს არავითარი დახმარება ან კონტროლი არ იწევა. მშენებლობის არც ერთ ობიექტზე არ არის მოწყობილი გაზეთის ვიტრინა, საპატიო დაფა, არ ხდება მოწინავე მშენებელთა გამოცდილების გაზიარება, სტახანოვური მეთოდების დანერგვა. მშენებელი მუშებისათვის იანვრიდან დღემდე არც ერთი ლექცია, პოლიტიკური მოხსენება და საუბარი არ მოწყობილა.

აღნიშნული პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობა გარკვეულ დაღს ასვამს მშენებლობის მიმდინარეობას. სამშენებლო კანტორა საგრძნობლად ჩამორჩება სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. კანტორამ პირველი კვარტალის გეგმა ყველა მშენებლობაზე 67 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორე კვარტალისა—64 პროცენტით. მკვეთრად ჩამორჩება ავტობაზის მშენებლობა. მეორე კვარტალის გეგმა აქ მხოლოდ 34 პროცენტით შეასრულეს.

„საქმშენის" ტრესტი და დამკვეთი ორგანიზაციები მშენებლობებს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მასალებს უგვიანებენ. მთელ რიგ შემთხვევებში გვიანდება საშენი მასალების მიწოდება. „საქმშენი" ნაკლებად ამარაგებს № 2 სამშენებლო კანტორას ბეტონსარეველებითა და ამწეებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაცხარებული მუშაობის პერიოდში ხშირად წყალი არ არის. მშენებლობას აკლია მუშახელი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიის რაიკომები ისეთსავე პასუხს უნდა აგებდნენ მშენებლობებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის, როგორსაც ისინი აგებენ ამ მუშაობის მდგომარეობისათვის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში. მაგრამ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიასა და ორჯონიკიძის რაიკომები არ ითვალისწინებენ სამშენებლო ობიექტების სპეციფიკურ პირობებს, ნაკლებად ზრუნავენ მშენებელთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სამშენებლო ობიექტების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებისათვის.

საჭიროა მშენებლობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გააუმჯობესონ თავიანთ უბნებზე პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, უნარიანად განახორციელონ სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლება და დაეხმარონ მშენებლობის ადმინისტრაციას სახელმწიფო დავალებათა დროულად და ხარისხიანად შესრულების საქმეში.

ე. მამალაძე
მ. ვარდოსანიძე

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში

საქართველოს ვ. პ. (ბ) **ლანჩხუთის** რაიკომის მორიგმა პლენუმმა მოისმინა და განიხილა მამათის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. ვ. ჩხაიძის მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ. მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 ამხანაგმა. პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

★ მარგანეცის სასაქონლო მადნის დამზადების გეგმის შესრულების მიმდინარეობასა და მორიგ ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კ. პ. (ბ) **ჭიათურის საქალაქო** ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც ამ დღეებში შედგა. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა მარგანეცის ტრესტის მმართველი ამხ. შ. შეყლაშვილი. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. სამხარაძემ, გ. კუბლაშვილმა, შ. პაქსაშვილმა, დ. გელაშვილმა და სხვ. სულ 14 კაცმა. აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პეტრიაშვილი.

★ საქართველოს კ. პ. (ბ) **ჭიათურის რაიკომმა** ჩაატარა აგიტატორთა ზონალური თათბირები მეცხოველეობის განვითარებისა და მოსავლის აღების საკითხებზე. თათბირებს ესწრებოდნენ აგრეთვე საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნები და აგიტ-კოლექტივების ხელმძღვანელები.

კინონარკვევი „პუშკინი საქართველოში"

კავკასიონის დიდებული მთები, ჩანჩქერები, მწვერვალები...

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან საქართველოს წარმტაცი პეიზაჟები, რომელნიც თავის მომხიბვლელ ლექსებში ასახა დიდმა მგოსანმა: კავკასიონის გვირგვინი — ღრუბლებში გახვეული ყაზბეგი, სოფელი ყაზბეგი, სადაც პუშკინმა გაიცნო სახელოვანი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის პაპა გაბრიელი, ლამაზი ფასანაური, მიუდგომელი ანანური, ბებრის ციხე...

„მრისხანე კავკასიონიდან მოულოდნელი გადასვლა ტურფა საქართველოში მართლაც მომხიბვლელია" — წერდა პუშკინი. საუცხოოდ არის ასახული ეკრანზე ძველი თბილისი და მისი მიდამო გრავიურებისა და იმდროინდელი სურათების საშუალებით. კინონარკვევის ავტორმა და რეჟისორმა ა. ჯალიაშვილმა მოხერხებულად გამოიყენა ქართველ მხატვართა ყველა ის სურათი, რომელიც მიძღვნილია ალექსანდრე პუშკინის საქართველოში ყოფნისადმი.

სტუმართმოყვარე ქართველები ზეიმით ხვდებიან საყვარელ პოეტს. ე. ბაღდავაძის სურათი ასახავს პუშკინს ქართველ მოწინავე საზოგადოებაში. მეორე სურათზე პუშკინი აღტაცებით ისმენს ქართულ სიმღერებს.

„თბილისში დავყავი ორ კვირამდე და გავიცანი იქაური საზოგადოება" — წერდა პუშკინი. ეკრანზეა მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები — პუშკინის ლექსების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მანანა ორბელიანი, რომლის სალონში აღტაცებით კითხულობდნენ პუშკინის უკვდავ ქმნილებებს, მოწინავე საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი — რედაქტორი „თბილისის უწყებებისა", რომელთა დამატებაშიც იბეჭდებოდა პუშკინის ლექსების ქართული თარგმნები, და სხვები.

ეკრანზეა ულამაზესი წინანდალი, ესოდენ ნაქები ალ. გრიბოედოვის კალმით. სურათი ასახავს ალ. ჭავჭავაძის ოჯახს, შეკრებილს აივანზე, მათ შორის არის პუშკინიც.

მეორე სურათზე ასახულია არზრუმის გზაზე პუშკინის შეხვედრა თეირანში მოკლულ გრიბოედოვის ცხედართან.

ქართველი ხალხი წმიდად ინახავს საყვარელი პოეტის სახელს. ეკრანზეა პუშკინის სახელობის ქუჩა, სახლი მემორიალური დაფით, სადაც 120 წლის წინათ თბილისში ცხოვრობდა პუშკინი.

მაყურებელი ხედავს პუშკინის საიუბილეო დღეებს საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც მოწყობილია პუშკინისადმი მიძღვნილი გამოფენა. ეკრანზეა გამოფენის საინტერესო ექსპონატები, სურათები, ქართულ ენაზე გამოცემული პუშკინის მრავალი წიგნი.

6 ივნისს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად საქართველომაც დიდი ზეიმით აღნიშნა პუშკინის დაბადების 150 წლისთავი. მაყურებელი ხედავს თბილისის ოპერის თეატრის დარბაზს, სადაც ძიმდინარეობს საზეიმო სხდომა, თბილისის ქარხნებს, სადაც დიდი სიყვარულით აღინიშნა პუშკინის დღეები.

თბილისის პუშკინის სახელობის ბაღში, დადგმულია პოეტის ძეგლი. მოსწავლეები ძეგლს ყვავილებითა და გვირგვინებით ამკობენ.

კინონარკვევი „პუშკინი საქართველოში" საინტერესოა არა მარტო ქართველი, არამედ რუსი მაყურებლისათვისაც. რეჟისორს გემოვნებით გამოუყენებია არსებული მრავალრიცხოვანი მასალა და შეუქმნია პოეტის ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდის ამსახველი ნაწარმოები. აღსანიშნავია ოპერატორ ა. სემიონოვის საუცხოოდ გადაღებული საქართველოს პეიზაჟები და ა. ბალანჩივაძის მელოდიური მუსიკა.

ლ. ქართველიშვილი

გავრცელდა 1 მილიონ 60 ათასზე მეტი მანეთის წიგნები

სოხუმი. (საკ. კორ.). წიგნის კვირეულის განმავლობაში აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში გავრცელებულ იქნა 1 მილიონ 60 ათასზე მეტი მანეთის მეცნიერულ-პოპულარული, პოლიტიკური, მხატვრული და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გავრცელდა ლენინისა და სტალინის თხზულებანი, რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებნი.

გაგრის რაიონში გავრცელდა დაახლოებით 160 ათასი მანეთის წიგნი, სოხუმში—204 ათას მანეთისა და ა. შ.

კარგად მოაწყო წიგნის ვაჭრობა „საქწიგნის" აფხაზეთის განყოფილებამ (დირექტორი ნ. კიკაბიძე), რომელმაც კვირეულის განმავლობაში გაავრცელა 400 ათასამდე მანეთის ლიტერატურა. აქედან გაგრის წიგნის მაღაზიამ გაყიდა 125 ათასი მანეთის ლიტერატურა.

დიდი რაოდენობით გავრცელდა წიგნი აგრეთვე სოფლად. სოფლის მრავალმა მოწინავე ადამიანმა დიდძალი ლიტერატურა შეიძინა.

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ არძიმბამ ახალშეძენილი წიგნებით შექმნა საკუთარი ბიბლიოთეკა. დიდძალი ლიტერატურა შეიძინეს ახალი სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პეტრე კივილაძემ, გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სერაფიონ ჭანიამ და სხვებმა.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.) რაიონის მშრომელები ფართოდ ემზადებიან თავიანთი მკვიდრის, ცნობილი ქართველი ბელეტრისტის ეგნატე ნინოშვილის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავად. მწერლის მშობლიურ სოფელ ჩანჩეთში ეწყობა ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, აქვე მოეწყობა საიუბილეო გამოფენა.

ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმს გადაეცემა მწერლის პირადი ნივთები, აკვანი, მაგიდა, რომლებიც ამჟამად ქალაქ მახარაძის მუზეუმში ინახება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები და მის თანამედროვეთა მოგონებანი.

სახლი-მუზეუმის ხელმძღვანელობა ამჟამად დიდ მუშაობას ეწევა ახალი დოკუმენტების აღმოჩენისა და დადგენისათვის.

საბჭოთა კავშირში

მოსკოვის უნივერსიტეტის 200 წლის ისტორია

ჩვენი ქვეყნის უძველესი უმაღლესი სასწავლებელი — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე შეუდგა თავისი დაარსების დღის 200 წლისთავისათვის მზადებას. სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა შექმნას კაპიტალური ნაშრომი — 1755 წელს გახსნილი მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი მეცნიერული ისტორია. იუბილეს აღსანიშნავად გამოჩენილი მეცნიერები შეუდგნენ მთელ რიგ ნაშრომთა შედგენას, რომელნიც აჯამებენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, ლიტერატურის, ტექნიკის, ხელოვნების სხვადასხვა დარგში უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგებს.

სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მომამზადოს უნივერსიტეტის 200 წლის ისტორია, ფართოდ იყენებს უნივერსიტეტის უმდიდრეს საარქივო მასალებს. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საცავებში დაახლოებით მეოთხედი მილიონი დოკუმენტია. დაცულია უნივერსიტეტის გამოჩენილი მოსწავლეების—ბელინსკის, ლერმონტოვის, გონჩაროვის, ტურგენევის, ჟუკოვსკის, გერცენის, ოგარევის, ჩეხოვის პირადი საქმეები.

უძველეს უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობდა სახელგანთქმულ რუს მეცნიერთა — სეჩენოვის, პიროგოვის, სტოლეტოვის, ტიმირიაზევის, კოვალევსკის, ჟუკოვსკის მოღვაწეობა. რუსული მეცნიერების ამ გამოჩენილ წარმომადგენლებს დაეთმობათ ახალი ნაშრომის მრავალი ფურცელი. (საკდესი).

25 წლიური ნორმა დაზგის კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად

ხარატ კულაგინის თაოსნობა მოსკოვის ოქტომბრის რაიონის საწარმოებში

მოსკოვის სახეხავი დაზგების ქარხნის სტახანოველმა ბორის კულაგინმა ვალდებულება იკისრა 25 წლიური დავალება შეასრულოს დაზგის კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად; მისმა ამ ახალმა პატრიოტულმა თაოსნობამ ფართო გამოყენება ჰპოვა მოსკოვის ოქტომბრის რაიონის საწარმოებში.

მოწყობილობის გულმოდგინე მოვლა, მისი მუშაობის შესწავლა, ახალი ხელსაწყოს და სპეციალური ინსტრუმენტის გამოყენება, ჭრის გადიდებულ სიჩქარეზე გადასვლა—ყოველივე ეს იმის შესაძლებლობას აძლევს ბორის კულაგინს, რომ მკვეთრად გაადიდოს დაზგის მუშაობის ვადა კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად.

ამჟამად მარტო სახეხავი დაზგების ქარხანაში 40-ზე მეტი სტახანოველი მუშაობს ამხ. კულაგინის მეთოდით. მაგალითად, მოარველმა ამხ. იაშკინმა თავის დაზგაზე 8 წლიური ნორმა შეასრულა და ვალდებულება იკისრა 17 წლიური დავალება კიდევ შეასრულოს დაზგის კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის ოქტომბრის რაიკომის ბიურომ მოიწონა ბორის კულაგინის ძვირფასი თაოსნობა და წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას და საწარმოს ხელმძღვანელებს გაავრცელონ მუშებში ეს პატრიოტული წამოწყება. (საკდესი).

ბუნებისმეტყველების თვალსაჩინო ხელსაწყოები

მოსკოვის ფაბრიკა „ბუნება და სკოლა", რომელიც ბუნებისმეტყველების სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებს უშვებს, შეუდგა ჩვენი ქვეყნის სასწავლებლებში თავისი პროდუქციის გაგზავნას. ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების, შუა აზიის, კალინინგრადის, ვოლგოგდისა და სმოლენსკის სკოლებში გაიგზავნა ათასობით ჰერბარიუმი, ზოოლოგიური, მინერალოგიური და პალეონტოლოგიური კოლექციები, ასობით სხვადასხვა პრეპარატი და სხვ.

სასწავლო წლისათვის ფაბრიკამ მრავალი ახალი თვალსაჩინო ხელსაწყო დამზადა. პირველად გამოუშვეს მიჩურინულ ნაყოფთა ანაწყობი: მათი საწყისი ფორმების მულაჟი და დიდი მეცნიერის მიერ მიღებული ჰიბრიდები.

პირველად გამოუშვეს ნათესბალახიან თესლბრუნვაში შემავალი ნათესი ბალახების, იმ ხეებისა და ბუჩქების ჰერბარიუმები, რომლებსაც სახელმწიფო ტყესაცავ ზოლებში რგავენ. უშვებენ 30 სახელწოდების ზოოლოგიურ კოლექციას.

ფაბრიკა სულ წელს სასწავლებლებისათვის გამოუშვებს 70 ათასზე მეტ კოლექციასა და ჰერბარიუმს, 20 ათას ზოოლოგიურ პრეპარატს, ნაყოფთა მულაჟის დიდძალ ანაწყობს. (საკდესი).

კოლმეურნეობის თავმჯდომარის დისერტაცია

ბასარგეჩარი (სომხეთის სსრ), 2 აგვისტო. (საკდესი). სოფელ კარჩახპიურის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა არაჩვეულებრივი სიხარბით მოიყარეს თავი თავიანთ კლუბში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მირზოიანმა ამ დღეს იოლპარაკა თავის დისერტაციაზე, რომელიც დაწერილი აქვს თემაზე: „საშემოდგომო ხორბლის მასობრივი თესვა სომხეთის მაღალმთიან რაიონებში". კრებას დაესწრო ერევნელ მეცნიერთა ჯგუფიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორ ამხ. მარტიროსიანის მეთაურობით. მეცნიერთა ჯგუფი სპეციალურად ჩავიდა სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარის სამეცნიერო ნაშრომის გასაცნობად.

მეცნიერულ ცდებს ს. მირზოიანი დიდი ხანია აწარმოებს. 8 წლის წინათ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. მას შემდეგ სულ იმის ფიქრშია, თუ როგორ მოიყვანოს საშემოდგომო ხორბალი მაღალმთიან პირობებში. შარშან ცდები წარმატებით დაგვირგვინდა, მოიყვანეს რამდენიმე ცენტნერი ახალი ყინვაგამძლე ხორბალი. შემოდგომაზე დათესეს 2.500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე 15 ჰექტარი ნაკვეთი. ამჟამად აქ მოსავალს ძალიან კარგი პირი ეჭაშს. კოლმეურნეებს იმედი აქვთ, რომ სულ ცოტა 150 ფუთ მარცვლეულს აიღებენ თითოეულ ჰექტარზე.

ს. მირზოიანის მოხსენებამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მეცნიერებმა და კოლმეურნეებმა მაღალი შეფასება მისცეს სამეცნიერო ნაშრომს.

ერთი თვის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავის დისერტაციას დაიცავს ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში.

აღვზარდოთ და გამოვაწრთოთ პროპაგანდისტთა კადრები

სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის განხორციელებისათვის ბრძოლის პირობებში არაჩვეულებრივად გაიზარდა პარტიის იდეოლოგიური, პროპაგანდისტული მუშაობის მნიშვნელობა. ხალხის მასების სოციალისტურ შეგნებულობაზე, მათს პოლიტიკურ და შრომით აქტივობაზე ახლა ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი წარმატებანი, კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ტემპი. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ რაც უფრო მაღალია მუშაკთა მარქსისტულ-ლენინური მომზადება, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია მათი მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მისი შედეგები.

ახორციელებს რა ამხანაგ სტალინის მითითებებს იდეოლოგიურ საკითხების დარგში, ჩვენმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გააჩაღა პარტიის წევრთა აღსაზრდელად, ფართო მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისათვის. ეს კეთილმყოფელ გავლენას ახდენს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობაში, საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებაში, სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო საყოველთაოსახალხო გაქანებაში, მშრომელების მიერ სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის მაღალ შეგნებაში — ყოველივე ამაში ჩანს ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე იდეათა მამობილიზებელი და მაორგანიზებელი როლი.

კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ პარტიული პროპაგანდის შემდგომ აღმავლობას.

პარტიულ პროპაგანდაში, ისევე როგორც ყოველ საქმეში, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის კადრებს. პროპაგანდაში მთავარია მისი მაღალი თეორიული დონე, იდეური მიზანდასახულობა. მარქსიზმ - ლენინიზმის პროპაგანდა მოწოდებულია შეაიარაღოს ჩვენი კადრები საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, ასწავლოს ჩვენი პარტიის გიგანტური გამოცდილების მიხედვით ის, თუ როგორ გამოიყენონ რევოლუციური თეორია კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. პარტიულმა პროპაგანდამ უნდა ცხადყოს სოციალიზმის დიადი უპირატესობანი კაპიტალიზმის წინაშე, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ, განავითაროს და დანერგოს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი, განამტკიცოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

პროპაგანდის დონე და შინაარსი გადამწყვეტად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრებზე. დიდი ლენინი ამბობდა, რომ მეცადინეობის შინაარსი და მიმართულება განისაზღვრება ლექტორთა, პროპაგანდისტთა შემადგენლობით.

ჩვენი პარტია, რომელიც მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების მტკიცე ბაზაზე აღიზარდა, მუდამ იჩენდა და იჩენს უდიდეს ზრუნვას პროპაგანდისტთა კადრების აღზრდისათვის. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ლენინი და სტალინი საფუძვლებს უყრიდნენ ახალი ტიპის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას, ლენინი აღნიშნავდა, რომ პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პარტიული პროპაგანდისტების კადრების მომზადება. ნამდვილი პრინციპულად მტკიცე და უნარიანი პროპაგანდისტი რომ გახდე, — წერდა ლენინი 1922 წელს, — ამისათვის რიგიანად უნდა ისწავლო და შეიძინო გამოცდილება, „და ასეთი ადამიანები უნდა დავასპეციალოთ, მთლიანად გამოვიყენოთ და უაღრესად მოვუფრთხილდეთ".

ხელმძღვანელობდა რა ლენინისა და სტალინის მითითებებით, ჩვენმა პარტიამ აღზარდა და გამოაწრთო პროპაგანდისტთა მრავალრიცხოვანი კადრები. ამ კადრების სწრაფი ზრდა ხდებოდა პარტიული პროპაგანდის ახალ ალმავლობასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია სტალინური „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოქვეყნებამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ. პარტიული პროპაგანდის გარდაქმნამდე, რაც ამ დადგენილების საფუძველზე განხორციელდა, პარტიაში 112 ათასზე მეტი პროპაგანდისტი ითვლებოდა, ხოლო 1948-1949 სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში 250 ათასამდე პროპაგანდისტი მუშაობდა.

პროპაგანდისტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია პარტიის წინაშე. პარტიამ დააყენა იგი მაღალ და კეთილშობილურ პოსტზე. მას მინდობილი აქვს უმნიშვნელოვანესი მუშაობა — კომუნისტების პოლიტიკური განათლება, ჩვენი კადრების, საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური განათლება. პროპაგანდისტი ლენინ-სტალინის დიადი იდეების გამტარებელია მასებში. ბოლშევიკი პროპაგანდისტი კომუნიზმის მშენებლობის მნიშვნელოვან და მწვავე უბანზე — იდეოლოგიურ ფრონტზე აქტიური მებრძოლია. მისი მოვალეობაა შეურიგებელი იყოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინებისადმი, რა ნიღბითაც უნდა მოგვევლინოს იგი, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებისადმი.

ჩვენს პარტიაში პროპაგანდისტის მოღვაწეობა, მასების პოლიტიკური განათლების დარგში მუშაობა მიჩნეულია საპატიო მოვალეობად, უმნიშვნელოვანეს პარტიულ მოვალეობად. ამჟამად, როცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული განათლების დარგში მთავარ ამოცანად დასახა ყველა პოლიტსკოლისა და წრის უზრუნველყოფა კვალიფიციური ხელმძღვანელებით, პროპაგანდისტულ მუშაობაში უნდა მოვიზიდოთ პარტიის თეორიულად მომზადებული წევრები და პირველ რიგში პარტიული მუშაკები. ყოველი ბოლშევიკი პროპაგანდისტისათვის დიად მაგალითს, იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა შეეგიარაღოთ პარტიის წევრები, ყველა მშრომელნი კომუნიზმის იდეებით, პოლიტიკური ცოდნით, წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების კორიფეების, მილიონნიანი მასების გენიალური ბელადებისა და მასწავლებლების — ვ. ი. ლენინისა და ი. ვ. სტალინის მოღვაწეობა.

კომუნიზმის ასაშენებლად უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის მსვლელობაში პარტია — საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა — ჩვენი პროპაგანდის წინაშე აყენებს სულ ახალ, უფრო და უფრო მაღალ ამოცანებს. და პროპაგანდისტს შეუძლია ამ ამოცანების სიმაღლეზე იდგეს მხოლოდ მაშინ, თუ განუწყვეტლივ იმდიდრებს ცოდნას, ღრმად სწავლობს ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებს, განუწყვეტლივ ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

ჩვენმა პარტიამ ყველა პირობა შექმნა პროპაგანდისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი იდეურ-თეორიული ზრდისათვის. შეიქმნა ისეთ სასწავლებელთა ფართო ქსელი, რომლებიც პროპაგანდისტთა კვალიფიციურ კადრებს ამზადებენ: საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორწლიანი პარტიული სკოლები.

პროპაგანდისტთა კადრების აღზრდისა და მომზადებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ, მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „ზაფხულში პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსების მოწყობის შესახებ" და „პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ". პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლის უზრუნველყოფა კვალიფიციური პროპაგანდისტებით, მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება და იმ კადრებისადმი დახმარების გაძლიერება, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

კურსებმა, რომლებიც ამჟამად პარტიის საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან ეწყობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 80 ათასამდე პროპაგანდისტი უნდა მოამზადონ. პროპაგანდისტთა კურსებმა წ

წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სწრაფი ტემპით აბარებს პურს სახელმწიფოს. სურათზე: მარცვლეულის მომზადება „ზაგოტზერნოს“ ბაზაზე გასაგზავნად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მარცვლეულის მიმღებ პუნქტებში

დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან „ზაგოტზერნოს“ წნორის მიმღები პუნქტისაკენ მარცვლეულით დატვირთული ავტომანქანები. მოწინავე კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ პირველ განაღურ მარცვლეულს. კოლმეურნეობა „წითელმა არბიშიკმა“ (წითელწყაროს რაიონი) ვადამდე შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა. ახლა ეს კოლმეურნეობა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით აბარებს პურს. რაიონიდან ყოველდღიურად მიმღებ პუნქტს 350-450 ტონამდე მარცვლეული ბარდება.

ზოგიერთი კოლმეურნეობა ყურადღებას არ აქცევს მარცვლეულის გაწმენდას და ამით აფერხებს პურის ჩაბარებას. მაგალითად, სილნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩასაბარებლად მოიტანეს 1.520 კილოგრამი დანაგვიანებული მარცვლეული. ასევე უპასუხისმგებლოთ იქცევიან პურის ჩაბარების საქმეში ამავე რაიონის ქვეშ მაჩხაანის დიმიტროვის, ძველი ანაგის ჩარკვიანის, წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობები.

ზოგან ხდება მარცვლეულის განიავებაც. სილნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბრის“ წევრს დ. პაატაშვილს მიმღებ პუნქტში უნდა ჩაებარებინა 2.860 კილოგრამი პური, ფაქტიურად მის მიერ მოტანილი პური აწონის დროს აღმოჩნდა 2.530 კილოგრამი. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩამბარებელს გიორგი სესიტაშვილს მიმღებ პუნქტში ჩაბარების დროს დააკლდა 108 კილოგრამი მარცვლეული, ამავე რაიონის სოფელ ბაისუბნის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ჩამბარებელს რ. გოლაშვილს — 196 კილოგრამი. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის.

ამის შესახებ აქტი შეადგინეს და მხოლოდ ამით დაკმაყოფილდნენ.

მიმღები პუნქტის ზოგიერთი მუშაკიც ვერ მუშაობს დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, მეხუთე საწყობში კოლმეურნეებს მარცვლის დაცლა უძნელდებათ, რადგან შესასვლელი ცუდად გაუკეთებიათ. პურის დაცლის დროს საწყობის შესასვლელ კარებთან მარცვალი მიწაზე ცვივა და ღორები ჭამენ. ამას კი გულდამშვიდებით შეცქერის საწყობის გამგე ამხ. ბოქოლიშვილი. მსგავსი მდგომარეობაა მეორე და მეექვსე საწყობშიც.

„ზაგოტზერნოს“ საგარეჯოს მიმღებ პუნქტში სოფელ მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩასაბარებლად მოიტანეს 1.203 კილოგრამი მარცვალი და 7,48 პროცენტი ნაგვიანი იყო. ასევე არასერიოზულად იქცევიან მარცვლის ჩაბარების საქმეში სოფელ პატარძეულის კიროვის, საგარეჯოს ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობები.

მიმღები პუნქტიც ჯერ კიდევ ყოველმხრივ მომზადებული ვერ არის მარცვლის დაუბრკოლებლად მისაღებად. აქ აკლიათ მუშახელი. გარდა ამისა, ბრეზენტის უქონლობის გამო პირველ საწყობში პურის გაცლის დროს მარცვალი ტალახში ცვივა და ფუჭდება. 3 აგვისტოს სოფელ ხაშმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამბარებელმა ა. დემეტრაძემ მიმღებ პუნქტში მარცვალი მოიტანა დახეული ტომრებით და ამის გამო მარცვლის საგრძნობი ნაწილი დაიკარგა. ამას კი ამ რატომღაც არავინ არ აქცევს ყურადღებას.

საჭიროა ამთავითვე გადამჭრელი ზომები მივიღოთ დანაკარგის აღსაკვეთად, დროულად გავწმინდოთ მარცვლეული და სახელმწიფო ვალდებულება ვადამდე შევასრულოთ.

შ. ჯოჯუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ბინები პირუტყვისათვის

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა საკოლმეურნეო პროდუქტიული პირუტყვის სადგომების მშენებლობა. სოფელ ბიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა ორი სადგომი, თითეული 100 სულის ტევადობისა. სოფელ ვარგავის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ“ ააგო 500 სულის ტევადობის ბოსელი. პირუტყვის ახალი ბინები ააგეს აგრეთვე სოფელ საროს სტალინის და ჯობარეთის დამკვრელ კოლმეურნეთა II ყრილობის სახელობის კოლმეურნეობებმა.

საბჭოთა მშენებლობა

რაისაბჭოს აღმასკომი სასოფლო საბჭოების სოციალისტური შეჯიბრების სათავეში

ქუთაისის რაიონის სასოფლო საბჭოები მხურვალედ გამოეხმაურნენ ყვარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭოს ინიციატივას სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ტყაჩირის, დღნორისის, ოფშკვითის, ქვიტირის, ნახშირღელის, ბარდუბნის, საყულიის, გეგუთის, პატრიკეთის, მექვენისა და ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოები.

რაისაბჭოს აღმასკომმა ივნისში განიხილა საკითხი სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მიმდინარეობის შესახებ. აღმასკომმა შეჯიბრებაში გამარჯვებული საბჭოსათვის დააწესა გარდამავალი წითელი დროშა და დაამტკიცა რაიონული ჟიური.

შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ სასოფლო საბჭოებმა გადაჭრით გააუმჯობესეს მუშაობა. კოლმეურნეობებისადმი დახმარების გაძლიერების შედეგად გეგუთის, ბარდუბნის, ნახშირღელისა და ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოებმა მოკლე ვადებში დაამთავრეს სიმინდის თოხნა. რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. გადაჭარბებით სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმები.

ბარდუბნის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ს. კლდიაშვილი), რომელმაც შეჯიბრებაში გამოიწვია ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭო, მთელ რაიონში ყველაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. ქვიტირის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ი. ხურციძე) მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა როგორც მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების, ისე ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმები.

აღსანიშნავია, რომ მარტო ამ სასოფლო საბჭოს მშრომელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 135 ცენტნერზე მეტი გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკი და გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს. სასოფლო საბჭო აქტიურად ეხმარება კოლმეურნეობებს, სკოლებსა და სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამ სოფლის საშუალო სკოლას ახლად მიუშენეს ორი საკლასო ოთახი. ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება დაწყებითი სკოლისათვის ოთხოთახიანი შენობის აგება და კეთილმოწყობა. საბჭომ სასოფლო ბიბლიოთეკისათვის შეიძინა 1.000 მანეთის ახალი ლიტერატურა, 4 კილომეტრის მანძილზე შეაკეთა სასოფლო გზები, ააგო ახალი ხიდები და ბოგირები.

ენერგიულად მუშაობენ აგრეთვე საყულიის, ოფშკვითის, ტყაჩირისა და სხვა სასოფლო საბჭოები.

რაისაბჭოს აღმასკომი ხშირად იხილავს სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხს, იბრძვის იმისათვის, რომ თვითეული სასოფლო საბჭო ცოცხალი, კონკრეტული საქმეებით ანადღებდეს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას.

შ. ჯავახაძე

ქუთაისის რაიონულ გაზეთ „სიმართლის“ რედაქტორი

ჩვენ გვწერენ

კურორტ ჯავის მუშაობაში ნესრიგი უნდა დამყარდეს

ლიახვის ლამაზ ხეობაში მდებარეობს კურორტი ჯავა. ჯავაში არის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები. აქ ყოველ სეზონში მრავალი დამსვენებელი მოდის საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

ჯავის საკურორტო სამმართველო ცუდად ხელმძღვანელობს სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების მუშაობას. კურორტზე შეუწყნარებელი მდგომარეობაა. ის არ არის მომარაგებული ხილ-ბოსტნეულით, გამაგრილებელი წყლებით. ზოგჯერ სასმელი წყალიც არ იშოვება, რადგან წყლის მილები ხშირად ზიანდება. კურორტის მომარაგებისათვის სრულებით არ იწუხებს თავის ჯავის რაიკოოპკავშირი.

კურორტი დაშორებულია რაიონულ ცენტრს. მიუხედავად ამისა, აქ არ არის გახსნილი საავეროები. არის მხოლოდ კურორტვაჭრობის ერთი ფარდული, რომელიც პირველიდან 21 ივლისამდე დაკეტილი იყო. იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა მოთხოვნილებას. კურორტის რესტორანში ცოტა და ისიც ცუდი ხარისხის საჭმელი მზადდება. არ არის ჟურნალ-გაზეთების კიოსკი. ასეთი კიოსკი გახსნეს მხოლოდ № 1 სანატორიუმთან, რომლითაც სარგებლობა სხვა დამსვენებლებთათვის შეუძლებელია სიშორის გამო. მოუწესრიგებელია დამსვენებელთა გადაყვან-გადმოყვანა ავტომანქანებით. არც № 1 სანატორიუმის დირექცია და არც კურორტის ხელმძღვანელობა არ ზრუნავენ ამ საკითხის მოგვარებისათვის.

საყვედური ეთქმის საქავტოტრანსის გორის განყოფილებასაც. გორი-ჯავის მიმართულებით დანიშნული ავტობუსი კურორტამდე აღარ მიდის. თუმცა ასეთი ყოფილა ავტოტრანსის დირექციის განკარგულება. ჯავიდან კურორტამდე კი დამსვენებლებს ფეხით უხდებათ სამი კილომეტრი გზის გავლა. საოლქო საკურორტო სამმართველოს უფროსი ამხ. ფუხაევი ხშირი სტუმარია კურორტისა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ „წვრილმანს“ იგი ვერ ამჩნევს.

კურორტ ჯავის მუშაობაში წესრიგი უნდა დამყარდეს.

შ. თუთაძე

მცირედი რამ კარგ საქმეს ჩრდილს აყენებს

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის შედარებით კარგმა მუშაობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მაგრამ ნაკლოვანებები კიდევ არის და რაც უფრო სწრაფად გამოსწორდება ისინი, მით უფრო სასახელო იქნება ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მუშაკებისათვის. საქმე ეხება იმას, რომ ტრამვაის ვაგონებს ფანჯრების სამაგრი მოწყობილობა ხშირ შემთხვევებში არ უვარგა; ზოგჯერ ფანჯრები ყრუდ არის დამაგრებული კოჭებით და შეუძლებელია მათი ჩამოშვება, ზოგჯერ კი, პირიქით, სამაგრი ზამბარები სუსტია, რის შედეგად ტრამვაის მოძრაობის დროს ფანჯარა თავისთავად ჩამოეშვება ხოლმე და ხშირია მგზავრების დაშავების შემთხვევები. გარდა ამისა, ვაგონებში უსუფთაობაა, ვაგონებში შესვლის წესებს არ იცავენ და სხვ.

ასეთი მდგომარეობა დიდი ხანია გრძელდება. საკვირველია, რატომ გამორჩა მხედველობიდან ეს ამბავი ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელობას.

პ. ლაშხი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უგეგმოდ მომუშავეთა ხვედრი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სტალინირის რაიონის სოფელ ბერულის კოლმეურნეობაში მოსავლის აღების ნაკლოვანებათა შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ბარიშვილი გვატყობინებს, რომ ეს წერილი განიხილა ბიურომ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ განუწყვეტლივ, ყოველდღიურად“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 20 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია ლანჩხუთის რაიონიდან.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ხიტირი გვატყობინებს, აღნიშნული წერილი განხილულ იქნა სოფელ ქვემო შუხუთის საბჭოთა გმირების და ზემო აკეთის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებზე. დასახულია სათანადო ღონისძიებანი კორესპონდენციაში მოყვანილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სოფელ ზემო აკეთის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი ვ. ხუხუნაიშვილი უმოქმედობისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

ჩაიფუშა ფიფოს კოლონიზაციორული გეგმები ალბანეთში

ენვერ ხოჯა

ალბანეთის შრომის პარტიის გენერალური მდივანი

★

პირველად ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1949-50 წლების ორწლიანი სახელმწიფო გეგმა, რაც მოასწავებს შემდგომ წინსვლას ალბანეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობასა და განმტკიცებაში.

ორწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველაზე მსხვილ კაპიტალდაბანდებებს ძირითადად სახალხო მეურნეობის ოთხ მთავარ დარგში: მრეწველობაში, სამადნო საქმესა და ნავთსარეწებში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე. კაპიტალდაბანდებანი ამ ოთხ დარგში შეადგენენ 86,78 პროცენტს. კაპიტალდაბანდებათა 13,22 პროცენტი გეგმით განკუთვნილია სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგებისათვის, მათ შორის ადგილობრივი მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სახალხო განათლებისათვის და სხვ.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულების პირობას წარმოადგენს ის დახმარება, რასაც ალბანეთს უწევენ საბჭოთა კავშირი და მოძმე სახალხო რესპუბლიკები. საბჭოთა კავშირი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა მრეწველობას კრედიტით აწვდის მოწყობილობას, მაგალითად, მანქანებსა და მაღალი ძაბვის სადენებს ჰიდროელექტროსადგურისათვის, მანქანებს, მილებსა და მოტორებს ნავთის კომბინატისათვის, სპილენძისა და ქრომის მაღაროებისათვის, ტრაქტორებს, კომბაინებს, მოტორებსა და მანქანებს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობისათვის, ტირანის საფეიქრო კომბინატის, ორი ხის დამმუშავებელი ფაბრიკის მოწყობილობას და მრავალ სხვას; 1951-52 წლებისათვის—150 ათასი ტონა წლიური საწარმოო სიმძლავრის ნავთსაწმენდი დანადგარის მოწყობილობას და თბოელექტროსადგურის მოწყობილობას, 60 კილოვატი სიმძლავრის საშუალო ტალღის რადიოსადგურის მოწყობილობას. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი კისრულობს მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა მთელ რიგ სამრეწველო დარგებში და უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება მოწყობილობის დადგმაში.

მოძმე სახალხო რესპუბლიკები ალბანეთს კრედიტით აწვდიან მასალებს მრეწველობისათვის, სატრანსპორტო საშუალებებს. პოლონეთი ალბანეთს კრედიტით აძლევს 2 ხომალდს, დიზელმოტორებს, მეტალურგიულ კოქსს, შაქარს, ქსოვილებს; ჩეხოსლოვაკია—დიდ სატვირთო ავტომანქანებს, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობას, სხვადასხვა ხელსაწყოსა და აპარატურას, მანქანებს, სასკოლო მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მინისა და ფაიფურის ნაკეთობას და სხვა; უნგრეთი — სატელეგრაფო-სატელეფონო მოწყობილობას, ალუმინის ჭურჭელს, ფეხსაცმლის ტყავს, ფართო მოხმარების პროდუქციას; რუმინეთი — ბენზინს, ცემენტს, ტოლს, ქაღალდს, თევზსაჭერ ყარჭაპებს, ლურსმანს, ხორბალს, სიმინდს, შვრიას; ბულგარეთი — რკინის მავთულს, ფანერს, ცხენებს, ღორებს, ჯიშიან ძროხებს. სამაგიეროდ ალბანეთი აძლევს იმ მცირე რაოდენობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მასალებს, რაც მას მოეპოვება.

ალბანელი ხალხის დიდი მეგობრის—საბჭოთა კავშირის დიდი და უანგარო დახმარების მიუღებლად, მოძმე სახალხო რესპუბლიკებთან ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის უქონლად ალბანეთი არა თუ დიდად ჩამორჩებოდა თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებაში, არამედ საფრთხეში აღმოჩნდებოდა მისი თავისუფლება, რაც მოპოვებულია სისხლითა და მსხვერპლით ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საქმე ის არის, რომ ტიტოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ხროვამ ყოველივე შესაძლებელი გააკეთა, რათა ალბანეთი გადაექცია თავის კოლონიად. სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დახმარებამ მცირე ალბანეთს შესაძლებლობა მისცა წინააღმდეგობა გაეწია იმპერიალისტურ აგენტთა ხრიკებისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმის მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ და მოსპობილ იქნა ტიტოს ხროვის მტრული მოქმედება, რომელიც ალბანეთის წინაღმდეგ იყო მიმართული. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას მწვავე ბრძოლა მოუხდა იუგოსლავიის მთავრობის მიერ მოღალატე ტიტოს მეთაურობით მის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის წინააღმდეგ.

რამდენიმე წლის მანძილზე ტიტოელები ყველა საშუალებასა და მეთოდს იყენებდნენ ალბანეთის კოლონიზაციისათვის. ტიტო ცდილობდა ალბანეთს ისევე მოქცეოდა, როგორც მას მუსოლინი მოექცა 1939 წელს.

ბელგრადის ნაციონალისტები, რომლებიც ცდილობდნენ განეხორციელებინათ სერბიის ბურჟუაზიისა და სერბიის მეფეების ოცნება „დიდი სერბიის“ შესახებ, მოქმედებდნენ იმავე გზით. ტიტოს აზრით საჭირო იყო ალბანეთის ანექსირება და იუგოსლავიასთან შეერთება. სარგებლობდა რა მეგობრული ურთიერთობით, რაც ალბანელ და იუგოსლავიელ ხალხებს შორის დამყარდა ოკუპანტების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დროს, ტიტოს ბანდა დაჟინებით და სისტემატურად ცდილობდა მოესპო ალბანეთი, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. ტიტოს ტაქტიკა ჭეშმარიტად სატანური იყო, იმიტომ, რომ იმპერიალიზმის აგენტი იფარებოდა კომუნისტის ნიღბით, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის მეგობრის ნიღბით.

ალბანეთის კოლონიზაციის ცდა ტიტოს ხროვამ დაიწყო მისთვის კაბალური სესხის მიცემით. ალბანეთს უნდა ემუშავნა იუგოსლავიისათვის და ბელგრადის ხელმძღვანელობით. ეკონომიური ზეგავლენის მეოხებით ტიტოს ჯგუფმა აიძულა ალბანეთი გაეუქმებინა საბაჟო საზღვრები, შეეცადა ხელთ ეგდო ყველა მისი მაღარო, ხოლო ტიტოს აგენტი სავო ზლატიჩი ალბანეთში ყოფნის უკანასკნელ დროს იქამდე მივიდა, რომ წინადადება წამოაყენა იუგოსლავიასა და ალბანეთს შორის დამყარებულიყო ისეთი ურთიერთობა, როგორიც არსებობს და პრაქტიკაშია ბენილუქსის ქვეყნებს შორის.

წინათ ალბანეთში ფიქრობდნენ, რომ ტიტოს ნაშიერი მოშე პიადე იცავდა ალბანეთის სუვერენიტეტს ცალდარისტთან საიდუმლო მოლაპარაკების დროს, როცა მან ამ უკანასკნელს უარი უთხრა წინადადებაზე ალბანეთის დანაწილების შესახებ. მაგრამ ახლა ცხადი გახდა, თუ საითკენ მიისწრაფოდა ტიტოს ბანდა.

ტიტომაც და მოშე პიადემაც არ მიიღეს ცალდარისის წინადადება ალბანეთის გაყოფის შესახებ იმიტომ, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ალბანეთი უკვე მათ ეკუთვნოდა. ამის შემდეგ ტიტოს ხროვა შეეცადა თავისი ჯარები შეეყვანა ალბანეთში, გამოეწვია საერთაშორისო ინციდენტი და ალბანეთის დაცვის საბაბით მოეხდინა მისი ოკუპაცია, ხელისუფლების სათავეში დაეყენებინა თავისი აგენტები კოჩი ძოძეს მეთაურობით და ამრიგად განეხორციელებინა თავისი ოცნება „დიდი იუგოსლავიის“ შექმნის შესახებ ეგეოსის ზღვამდე, რეაქციის მძლავრი დასაყრდენისა ბალკანეთზე, ფაშისტური პლაცდარმისა, რომელიც მიმართული იქნებოდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამერიკის იმპერიალიზმმა შესაფერისი პაიკი იპოვა ტიტოს სახით—ამ ახლად წარმოშობილი ფაშისტური დიქტატორის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მუსოლინის როლის პრეტენდენტის სახით.

პროვოკაციული მიზნით ტიტოს ხროვამ, იცოდა რა, რომ ალბანეთის მთავრობა უარს იტყოდა მათთან თანამშრომლობაზე, აღძრა შკოდრას ტბის ამოშრობის საკითხი. ძირითადი მიზანი, რასაც ტიტოს ხროვა ამ პროვოკაციით ისახავდა, იყო ბრძოლა ჩერნოგორიისათვის. ჩერნოგორიის გმირი ხალხი, რომელიც მამაცურად იბრძოდა თავისუფლებისათვის, ნამდვილი დემოკრატიისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ძმობისათვის, ალბანელ ხალხთან მჭიდრო მეგობრობისათვის, განიცდის ტიტოს ბანდის მიერ ჩაგვრას, რომელმაც ჩაახშო ჩერნოგორიისა და იუგოსლავიის ხალხთა საუკუნეობრივი ოცნებანი. ჩერნოგორიის ხალხი ვერ შეურიგდება ამ ჩაგვრას, ვერ მოითმენს იმას, რომ ტიტოს ბანდა ცილს სწამებდეს საბჭოთა ხალხს, რომელმაც მას თავისუფლება მოუტანა. ჩერნოგორიის ხალხს სძულს ტიტო, ებრძვის მას. ტიტოს ხროვა ზომებს იღებს, რომ ჩაახშოს ჩერნოგორიის გმირი ხალხის წინააღმდეგობა. იგი იყენებს შოვინიზმისა და ნაციონალიზმის შხამიან იარაღს და ცდილობს წაჰკიდოს ჩერნოგორიელები ალბანელებს, რომლებიც ვითომდა ხელს უშლიან ტბის ამოსაშრობ სამუშაოთა ჩატარებაში.

შკოდრას ტბის ამოშრობის გეგმას ტიტოს ხროვა იყენებს, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ ჩერნოგორიელი ხალხის ყურადღება ჩამოაცილოს მის ძირითად ამოცანას — დამმონებელთაგან განთავისუფლებას, მეორე იმისათვის, რომ შკოდრას ტბა გადააქციოს იძულებითი სამუშაოების საკონცენტრაციო ბანაკად ჩერნოგორიელი ახალგაზრდობისათვის. ჩერნოგორიელი ხალხი მიხვდა ამ საზიზღარ თამაშს და არ ეგება ტიტოელთა ანკესს.

საზიზღარ მეთოდებს იყენებს ტიტოს ბანდა იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალი ოლქების კოსოვის, მეტოხიისა და მაკედონიის ალბანელთა წინააღმდეგ. კოსოვის ალბანელები ვერ სარგებლობენ თავისუფლებით, ზოგიერთი ალბანური სკოლა ფორმალურად არსებობს. პატიოსანი და შრომისმოყვარე ალბანელები მოცილებული არიან ხელისუფლების ორგანოებს. აგრარიული რეფორმა ფორმალურად ჩატარდა და ახლა გლეხებს ართმევენ მიწას, პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ტიტოს ნაციონალისტური ხროვა მიზნად ისახავს კოსოვის ალბანელთა მოსპობას, იგი გეგმავს ალბანელთა 7 გაწვევის მობილიზაციას იმ მიზნით, რომ კოსოვის მამაცთა მოსახლეობა გადაიყვანოს ბანატისა და სლოვენიის ბანაკებში. ეს დანაშაული კოსოვის ალბანელთა წინააღმდეგ ახალი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.

ბელგრადის ბანდიტები იცავდნენ და იცავენ კოსოვის ჯალათებს და განიბეგ კრივეზიუს მსგავს ინტელიჯენს სერვისის აგენტებს, ინახავენ ისეთ ალბანელ ბანდიტებს, როგორიცაა ცენ ელეზი, დან კალეში და სხვები, რათა გამოიყენონ ისინი ახალი ალბანეთის წინააღმდეგ და ამავე დროს კოსოვის ალბანელთა ჩასახშობად და მოსასპობად. ტიტოს ნაციონალისტური ბანდა კოსოვში აღვივებს ძველ შუღლსა და შოვინიზმს ხერბიელებსა, ალბანელებსა და ჩერნოგორიელებს შორის. მამაც ჩერნოგორიელ პატრიოტებს, რომლებიც კოსოვის ალბანურ მოსახლეობას იცავენ ტიტოს ხროვისაგან, საპყრობილეებში სვამენ და საშინლად აწამებენ. ტიტოს ხროვა ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ძმური ურთიერთობის დამყარებას ალბანელებსა და იუგოსლავიელებს შორის. ეს ძმობა სასურველია იმიტომ, რომ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან იუგოსლავიის ხალხები გადარჩნენ იმ კატასტროფას, რომლისკენაც ისინი მიჰყავს ტიტოსა და მის ბანდას. მხოლოდ ასეთი გზით მოიპოვებენ იუგოსლავიის ხალხები და კოსოვის, მეტოხიისა და მაკედონიის ალბანური ნაციუმცირესობა თავისუფლებასა და თავიანთ კანონიერ უფლებებს.

ტიტოს ბანდა გააფთრებულ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწევა ალბანეთის წინაღმდეგ. მისდევს რა ცალდარისის ტაქტიკას, იგი აწყობს შეიარაღებულ ინციდენტებს ჩრდილოეთ საზღვარზე, ჰაერიდან არღვევს ალბანეთის სუვერენიტეტს, დაბრკოლებას უქმნის ალბანელ მოქალაქეებს იუგოსლავიით ტრანზიტში, უარს ეუბნება ვიზების მიცემაზე გამოგონილი და დაუსაბუთებელი საბაბით. მაგრამ პატარა გმირ ალბანეთს არ ეშინია ამ მუქარისა და შანტაჟის, ალბანელი ხალხი და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა დღითი დღე მტკიცდებიან, იწრთობიან ბრძოლაში, ისინი მტკიცედ და გადაჭრით დგანან სოციალისტური ბანაკის რიგებში.

ალბანეთის სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა უკვე იძლევა თავის ნაყოფს. ახალი, მთავრობის მიერ გამოცემული ეკონომიური განკარგულებანი სწორად გაიგეს და მიიღეს ქალაქისა და სოფლის მშრომელმა მასებმა. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც გაანადგურა ტიტოს აგენტურა ალბანეთის შიგნით და განთავისუფლდა ტიტოს ხროვის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ზეგავლენისაგან, წარმატებით რაზმავს ალბანელ ხალხს ალბანეთის სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადასაწყვეტად.

ალბანეთს გააჩნია მდიდარი წიაღისეული, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას. ამასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი კაპიტალდაბანდება ორწლიანი სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობისა და სამთო საქმისათვის. მაგრამ ზოგიერთი ბეცი ადამიანი ვერ ხედავს ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალს. მათ ურჩევნიათ, რომ სახელმწიფომ მრეწველობის შექმნისათვის მხსნელი ღონისძიებების მიღების ნაცვლად, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, დაიწყოს ფართო მოხმარების საგნების შემოზიდვა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იცხოვროს მხოლოდ შემოზიდვით. ჩვენი მრეწველობა რომ არ ავაშენოთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეთა გამოსაყენებლად, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს იაფ ფასებში მოსახლეობის მოთხოვნილებას, და ვიცხოვროთ მხოლოდ იმპორტით — ნიშნავს განვიცადოთ კრახი, გავკოტრდეთ. ხალხი ამჯობინებს გაადიდოს ნავთის, ქრომის, სპილენძის, ნიკელის, ბოქსიტის მოპოვება, რაც დიდი რაოდენობით არის ალბანეთში. ორწლიანი გეგმა მიზნად ისახავს ამ სიმდიდრეების მოპოვებას და ხალხის სამსახურში მათ ჩაყენებას.

საბჭოთა კავშირი თავისი უანგარო დახმარებით ხელს უწყობს მცირე ქვეყნებისა და მცირე ხალხების ნაციონალური მრეწველობის განვითარებას, ხელს უწყობს იმ ქვეყნების ეკონომიური დამოუკიდებლობისა და ნაციონალური სუვერენიტეტის განმტკიცებას, რომლებიც დაადგნენ დემოკრატიისა და სოციალიზმის გზას. მეორე, საწინააღმდეგო გზაა ამერიკის იმპერიალიზმის გზა ევროპის მარშალიზებული ქვეყნების მიმართ. ამ გზას მისდევენ ტიტოელები, რომლებიც მცირე ხალხების მიმართ ბაძავენ თავიანთი იმპერიალისტი ბატონების მეთოდებს.

ალბანეთის მშრომელთა ფართო მასები ორწლიან გეგმას შეასრულებენ ენთუზიაზმით, იმიტომ, რომ ეს გეგმა გამოხატავს მათ მისწრაფებებს. პარტიისა და მთავრობის წინამძღოლობით ალბანელი ხალხი, გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტის გარშემო, მთლიანად დარაზმავს თავის ძალებს ამ გეგმის განსახორციელებლად, რომელიც ალბანეთისათვის საარსებო საჭიროებას წარმოადგენს.

(გაზეთი „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ № 15, 1949 წლის 1 აგვისტო).

ფეიერტონის მაგიერ

ფრთხილად, ყმაწვილებო, ციცაბოზე ფეხი არ დაგისლესთ

საბჭოთა კავშირში დიდი ხანია დავიწყებას მიეცა ბიბლიის გადმოცემა ნოეს კიდობნის შესახებ, მაგრამ არსებობს მეორე სამყარო, სადაც რელიგია კვლავ აბნელებს ადამიანთა შეგნებას, სადაც მასებში ღრმად არის გამჯდარი ცრუშეხედულებანი სამყაროზე და მის მოვლენებზე, სადაც სწამთ ლეგენდები და რელიგიური გადმოცემები.

იქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ წარღვნის წინ ბრძანებითა ღვთისათა ნოემ კვიპაროსისაგან გააკეთა კიდობანი, რომელსაც 300 წყრთა სიგრძე, 50 წყრთა სიგანე და 30 წყრთა სიმაღლე ჰქონდა. კიდობანი სამსართულიანი იყო და იგი არარატის მთაზე გაირიყაო.

რელიგია ყველგან და ყოველთვის აბნელებდა ადამიანთა შეგნებას. სწორედ ამიტომ რელიგიას ხელს უწყობდნენ ექსპლოატატორული კლასები.

ახლაც ამერიკელი იმპერიალისტები რელიგიას იყენებენ როგორც თავიანთი ბატონობის იარაღს, ღვთის სახელით ძმათა სისხლისმღვრელ ახალ ომს ქადაგებენ.

პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ამერიკის იმ ექსპედიციის შესახებ, რომელიც თურქეთში იმყოფება და „ნოეს კიდობნის საძებნელად“ ემზადება. ექსპედიციამ ნებართვა მიიღო თურქეთის გენერალური შტაბისაგან და ახლა გემს ელოდება „ძებნისათვის საჭირო მოწყობილობით“.

ამერიკელი მორწმუნენი შესაძლოა მართლაც მოელოდნენ არარატის მწვერვალზე ნოეს კიდობნის აღმოჩენას. შესაძლოა ისინი ფიქრობდნენ: თუ კვიპაროსის კიდობანმა ვერ გაუძლო ყამთა სრბოლას, ნოეს კამეჩის რქა მაინც გადარჩებოდაო. დაე ასე იფიქრონ მათ, რომლებიც ჯერ კიდევ რელიგიის ტყვეობაში არიან. მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ კი იცის, თუ რა მიზანს ისახავს ექსპედიცია, რომელიც ომის გამჩაღებელთა დავალებით მიემართება არარატის მწვერვალისაკენ.

ამერიკის დაზვერვა თავისი ბნელი საქმეების მოსაჭახრაკებლად განა მარტო რელიგიას იყენებს? არ არსებობს საშუალება, რომელსაც ამერიკელი ომის გამჩაღებლები არ იყენებდნენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დასაზვერავად.

ჯერ კიდევ არ მოძველებულა ესოდენ გახმაურებული „მგლების ჭერის“ ამბავი. როგორც ცნობილია, ამერიკის დაზვერვამ ამას წინათ ფინეთში მოაწყო „ლაშქრობა“ მგლების წინააღმდეგ და დიდი იერიშებით, გენერალ-ლეიტენანტ ბლიკისა და გენერალ-მაიორ ოინონენის სტრატეგიული გეგმით მოკლულ იქნა... 4 მგელი.

ლაპლანდიის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, სადაც მგლების რიცხვი დიდი არ არის, „მგლების ჭერის“ საბაბით დაძრწოდნენ ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნების საიდუმლო პატრულები, თვითმფრინავები, ფოტოგრაფები. გაზეთ „ვაპაა სანა“ ცნობით, ამერიკელებმა ფინეთიდან 350 სურათი წაიღეს. რა თქმა უნდა, ეს იცის ფინეთის მთავრობამ, ისე როგორც თურქეთის მთავრობამ იცის, თუ როგორ „ნოეს კიდობანს“ ეძებენ ამერიკელები არარატის მთაზე.

მაგრამ რა არის აქ მოულოდნელი? განა თურქეთს შეუძლია აწყენინოს მბრძანებელ ბატონს, რომელიც თურქეთის რეაქციას ასულდგმულებს? მაშინ ხომ იგი ვერ მიიღებს ვერც ამერიკულ დოლარებს, ვერც შეიარაღებას, ვერც „კეთილ ინსტრუქტორებს“. ამერიკის შეერთებულ შტატებს „სურთ შეასრულონ მსოფლიოს ხელმძღვანელობის ამოცანა“. ამიტომ მოითხოვა ტრუმენმა კონგრესისაგან 1950 წლისათვის გამოჰყოს 1.450 მილიონი დოლარი სხვა ქვეყნებისადმი დახმარებისათვის, ამიტომ დაამტკიცეს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვიან.

ახალი ომის გამჩაღებლებს არ სურთ გაიხსენონ ისტორიის გაკვეთილები. ისინი ივიწყებენ, თუ რა სასტიკი დამარცხება იგემა ძსოთლიო ბატონობის პრეტენდენტმა, მათმა მრავალმა წინამორბედმა.

ამერიკელი მზვერავები დაძრწიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრების გასწვრივ და თავგამოდებით დაეძებენ „ნოეს კიდობნებს“. ერთობ სახიფათოა გზა, რომელსაც ამერიკელი რეაქციონერები დაადგნენ. იგი მათ უფსკრულისაკენ მიაქანებს.

— ფრთხილად, ყმაწვილებო, ციცაბოზე ფეხი არ დაგისლესთ!

აკ. ჩავლეიშვილი

დაზვერვა ნოეს კიდობნის ძებნის საბაბით

ნოე და მისი ჯალაბობა: აკი ჩვენს საძებრად მოდიოდით!

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

გერმანიის სახალხო საბჭოს პროგესი ამერიკელ მილიბარისტთა მოქმედების წინააღმდეგ

ბერლინი, 4 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის სახალხო საბჭოს საგანგებო სესიამ, რომელიც 4 აგვისტოს ბერლინში შედგა, მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ამერიკელ მილიტარისტთა მოქმედების წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია:

„1949 წლის 1 აგვისტოს მაინის ფრანკფურტში კონცერნ ი. გ. ფარბენინდუსტრის შენობაში შედგა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კონფერენცია ატლანტიკის პაქტის ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლებთან. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოცხადდა, რომ გერმანიაში მყოფი ამერიკის სოკუპაციო ჯარები, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ძალები, მოქცეული იქნებიან ატლანტიკის პაქტის სისტემაში.

ამერიკის შტაბის ამ გეგმებმა გერმანიის საზოგადოებრიობის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ატლანტიკის პაქტში ამერიკის სოკუპაციო ჯარების მოქცევა პრაქტიკულად მხოლოდ ამას ნიშნავს, რომ გერმანიის დასავლეთი ოლქები გადაქცეონ მეხუთე მსოფლიო ომის პლაცდარმად და სამარი მოქმედების ასპარეზად. ამით ამერიკელმა მილიტარისტებმა გვაგრძნობინეს, თუ რატომ ამბობენ უარს საზავო ხელშეკრულების დადებაზე და არ თანხმდებიან გაიყვანონ თავიანთი სოკუპაციო ჯარები. ისინი მიზნად ისახავენ არა დამშვიდებული ევროპის ცენტრში მშვიდობისმყყარე და დამოუკიდებელი გერმანიის განვითარებას, არამედ ხალხთა ახალი ხოცვა-ყლეტის მომზადებას, რომელიც განზრახული აქვთ ჩვენს მიწაწყალზე, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენი ადამიანებისა და ჩვენი რესურსების გამოყენებით.

გერმანელი ხალხის სახელით ჩვენ უაღრესად ენერგიულად ვაცხადებთ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ სოკუპაციო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად ჩვენს ქვეყანაში აწყობენ სამხედრო კონფერენციებს და გენერალური შტაბების მოლაპარაკებას, რაც მხოლოდ ახალ უბედურებასა და უფრო მეტ გაჭირვებას დაატეხს თავს გერმანიას. ყველა გერმანელს მოვუწოდებთ ჩვენი თვითგამორკვევის უფლებათა ამ უგულებელყოფას უპასუხოს, გადამწყვეტი ბრძოლით მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“.

გერმანიის ხანგრძლივი ოკუპაციის ამერიკის გეგმები

ბერლინი, 3 აგვისტო. (საკდესი). აღნის საგენტო მიუნხენიდან იუწყება, რომ 2 აგვისტოს ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ბრედლიმ ამერიკის ჯარების სასწავლო მოედანზე ყოფნისას გრაფენვერში (ბავარია) განაცხადა, რომ დასავლეთი გერმანია დიდხანს იქნება ოკუპირებული. ბრედლიმ დასძინა, „რომ ამერიკის ჯარის შენაერთებს არ შეამცირებენ აღრეთვე ეგრეთ წოდებული „დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს“ შექმნის შემდეგაც.

ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ ბრედლი დაეთანხმა გერმანიაში მყოფ ამერიკელთა სარდლობის წინადადებებს დასავლეთ ევროპაში ამერიკის დასაყრდენი პუნქტების მთავარი ბაზის რაიონზე შექმნის შესახებ. როგორც აღნიშნავენ, იმ წინადადებათა შემუშავებისას ხელმძღვანელობდნენ არა მარტო სტრატეგიული მოსაზრებებით, არამედ აგრეთვე ითვალისწინებდნენ დასავლეთ გერმანიაში სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდას ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით, რაც უეჭველია გავლენას მოახდენს ამერიკის პოლიტიკისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე.

„უარი განაცხადეთ, რომ იანკის ბრძანებით დაიხოცოთ“

ანტიამერიკული ფურცლების გავრცელება ლონდონში

ლონდონი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, გუშინ ამერიკის შტაბების უფროსთა და ინგლისის შტაბების უფროსთა თათბირის დროს უაიტჰოლში (ლონდონი), იმ შენობის წინ, სადაც თათბირი მიმდინარეობდა, რამდენიმე ახალგაზრდა გამვლელებს ურიგებდა ფურცლებს სათაურით: „უარი განაცხადეთ, რომ იანკის ბრძანებით დაიხოცოთ“. გამვლელნი სიამოვნებით იღებდნენ ამ ფურცლებს. მათში მოყვანილია ამერიკის კონგრესის წევრის კენნის გამოსვლის ტექსტი, რომელმაც ამას წინათ განაცხადა: დაე სხვა ქვეყნებმა მიაწოდონ საზარბაზნე ხორცი, ხოლო ამერიკა ომში არ გაგზავნის თავის ახალგაზრდობას.

„ამერიკის არმიის შვაბის უფროსი იმისათვის ჩამოდის საფრანგეთში, რომ ხელთ იგდოს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი არმია“

ფრანგ მშრომელთა ხმა

პროტესტი საფრანგეთში ამერიკელი გენერლების ჩასვლის წინააღმდეგ

პარიზი, 4 აგვისტო. (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ პარიზის პოლიციის პრეფექტურამ აკრძალა რაიმე დემონსტრაციის გამართვა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა შტაბების უფროსების პარიზში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, პარიზის მშრომელებმა გადაწყვიტეს 5 აგვისტოს თანხმობის მოედანზე ამერიკის საელჩოს შენობასთან გამართონ მასობრივი მანიფესტაცია, რათა ერთხელ კიდევ დაადასტურონ თავიანთი მისწრაფება მშვიდობისაკენ და გამოთქვამ პროტესტი ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ.

პარიზის პრესა აქვეყნებს პარიზის მრავალი პროგრესული ორგანიზაციისა და გაერთიანების მიმართვებს ამ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა წევრებისა და ქალაქის მოსახლეობისადმი,— 5 აგვისტოს შეიკრიბონ თანხმობის მოედანზე და ამერიკის საელჩოს გადასცენ გენერალ ბრედლის სახელზე მშრომელების მიერ ხელმოწერილი პეტიციები, რეზოლუციები და წერილები, რომლებიც შეიცავენ პროტესტს ახალი ომისათვის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ და ადასტურებენ ფრანგების მტკიცე გადაწყვეტილებას —დაიცვან მშვიდობა.

ასეთი მიმართვები გამოაქვეყნეს, კერძოდ, „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანიზაციამ“, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციამ, შრომის საყოველთაო კონფედერაციამ, პარიზის რაიონის პროფკავშირთა ორგანიზაციამ, ყოფილ ფრონტელთა რესპუბლიკურმა ასოციაციამ, ყოფილ ფრან-ტირერთა და პარტიზანთა ეროვნულმა ასოციაციამ, პარიზის რაიონის მშრომელთა მრავალმა დარგობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, ფრანგ ქალთა კავშირმა, საფრანგეთის რესპუბლიკელი ახალგაზრდობის კავშირმა, საზოგადოება „სახალხო დახმარება“ და სხვ.

კომუნისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციის მოწოდებაში ნათქვამია: „რაინს გალმა მდებარე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საინსპექციო მოგზაურობის შემდეგ, რომლის მიზანიც გერმანიის არმიის აღდგენაა, ამერიკის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსები გენერალ ბრედლის მეთაურობით პარიზს ჩამოდიან.

ამრიგად, ვერც კი მოასწრეს, მიუხედავად მთელი ხალხის ენერგიული წინააღმდეგობისა, ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის რატიფიკაცია, რომ ამერიკის არმიის შტაბის უფროსი უკვე ჩამოდის საფრანგეთში იმისათვის, რომ ხელთ იგდოს ჩვენი ქვეყანა და მისი არმია.

ახალი ომის გამჩაღებლებს სურთ „მარშალის გეგმისა“ და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საშუალებით მიაღწიონ შემდეგს: გაალატაკონ საფრანგეთი და გადაქცინონ იგი ბრძოლის ველად, მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ, ჩვენი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის ბაზად, თოფქვეშ დააყენონ ასეულ ათასობით ახალგაზრდა ფრანგი და ჩაბან ისინი ომის ცეცხლში.

ეს პოლიტიკა, რომლის გატარების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საფრანგეთის გარეთ, მიმართულია საფრანგეთის ინტერესებისა და მშვიდობის საქმის წინააღმდეგ.

პარიზის მშრომელნი უარყოფენ ამ პოლიტიკას და ყველას გასაგონად აცხადებენ, რომ ოდესავაც არ მიაჩნიათ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება მათ რაიმეს აკლებს.

პარიზის მოსახლეობას მშვიდობა სურს და არა ომი!

პარიზელები მოითხოვენ ვიეტნამში მშვიდობის დამყარებას, სამხედრო ხარჯების შემცირებას, სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესებას, მოითხოვენ შემსუბუქდეს გადასახადთა ტვირთი, რომლის მთელი სიმძიმეც მუშათა კლასსა და საშუალო კლასებს დაწვა.

პარიზელები მოითხოვენ სამუშაოს, მოითხოვენ უმუშევრობის გაუქმებას.

ისინი მოითხოვენ მოკავშირეებთან მეგობრული პოლიტიკის განხორციელებას, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებას. ისინი მოითხოვენ გერმანიის განიარაღებასა და დენაციფიკაციას და მისგან რეპარაციების აღებას.

თავის რეზოლუციებსა და პეტიციებში მშრომელი პარიზი გენერალ ბრედლის განუცხადებს: „რომ მტკიცედ მიისწრაფვის მშვიდობისაკენ.

გაუმარჯოს მშვიდობას!“

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ეროვნული ბიუროს მიმართვაში ნათქვამია: „შრომის საყოველთაო კონფედერაციის ეროვნული ბიურო ამხილებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ომის სულ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით მზადებას, რის დამადასტურებელია საფრანგეთში გენერალ ბრედლის ჩამოსვლა.

ამ ამერიკელმა გენერალმა მიზნად დაისახა გადაქცეს საფრანგეთი მომავალი ომის პლაცდარმად, ხოლო ფრანგები — საზარბაზნე ხორცად, რომელიც წინასწარ მიტანილია ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესების მსხვერპლად“.

ახალი ომისათვის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუციებსა და პეტიციებს იღებენ მშრომელნი საფრანგეთის დედაქალაქის მთელ რიგ საწარმოებსა და სხვადასხვა ოლქებში.

„მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილმა საორგანიზაციო კომიტეტმა პარიზის პოლიციის პრეფექტურის იმ ბრძანებასთან დაკავშირებით, რომ აიკრძალოს ყველა მანიფესტაცია პარიზში ამერიკის შტატების უფროსთა ჩამოსვლის გამო, გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა პარიზის პოლიციის პრეფექტურაში გაგზავნოს დელეგაცია რათა პროტესტი განაცხადოს ამ აკრძალვის წინააღმდეგ. ეს აკრძალვა მიზნად ისახავს წაართვას პარიზის ხალხს ლეგალური და დემოკრატიული საშუალება — პროტესტი განაცხადოს იმ მზადების წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ მის მომავალს“.

მემანქანეების მოსაზრებულობა და სიფხიზლე

რამდენიმე დღის წინათ სადგურ ქ. მორიგეთან დაფიქრებით ქ. ბერეზინ-ი თისხევის „მიმართულებით ლამით ერთ დროულად გაშვებულ იქნა თბილისი-ახალციხის სამგზავრო მატარებელი ხოლო კავთისხევიდან ქსნისაკენ დ ზელმატარებელი. თბილისი-ახალციხ მატარებელი მიჰყავდა მემანქანე დ მჭედლიშვილს, ხოლო დიზელმატარ ბელს მართავდა მემანქანე ლ. ჯოჯუა.

როცა მატარებლები ერთმანეთ უახლოვდებოდნენ, მემანქანეებმა შორ გადასარბენზე თვალი მოჰკრეს შუქ რომელმაც მოპირდაპირე მხარეს გა ელვა. გზის რელიეფის ზედმიწევნი ცოდნის შედეგად მემანქანეები მიხ დნენ, რომ ეს შუქი არ შეიძლება ყ ფილიყო ავტომანქანისა, რადგან რ ნიგზას ამ უბანზე არ მისდევს საავტ მობილო გზა. მათ სვლა შეანელეს დ საყვირითა და პროჟექტორით ერთმ ნეთს სიგნალები მისცეს. მატარებლებ ნელი სვლით დაუახლოვდნენ ერთმ ნეთს და 150 მეტრის დაშორებით შე გნენ.

გამოცდილმა და ფხიზელმა მემანქ ნეებმა მარცხი თავიდან აიშორეს.

ამ მოსაზრებულობისა და სიფხი ლის გამოჩენისათვის მემანქანეებს მ მჭედლიშვილსა და ლ. ჯოჯუას მ ცათ ჯილდო.

ქსნისა და კავთისხევის სადგურ მორიგეები მიცემული არიან პასუხ გებაში.

პიონერის მიერ აცილებული მარცხი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ამას წინა სადგურ ახალდაბიდან ბორჯომისაკენ გამოსული ექსპრესის მგზავრები გა კვირვა სადგურიდან საგრძნობი დაშ რებით მატარებლის მოულოდნელმა ჩერებამ. მატარებლიდან გადმოსულ მგზავრებმა მატარებლის წინ დაინახ პიონერი შალვა მარგველაშვილი, რ მელიც წითელი მაისურათი მატარ ლის კაჩერების სიგნალს აძლევდა მ მანქანეს.

გამორკვა, რომ მატარებლის გაჩერ ბის ადგილიდან რამდენიმე მეტრ ლიანდაგზე ეგდო მთიდან ჩამოგორ ბული დიდი ლოდი, რომელიც საფ თხეს უმზადებდა მატარებელს. პიონ რმა მარგველაშვილმა მოახლოებულ მატარებლის საყვირის ხმა გაიგო. იგ არ დაიბნა, გაიხადა წითელი მაისურ დაღგა ლიანდაგზე და თავისი სიგნ ლით მგზავრებით სავსე ექსპრესი მო სალოდნელ ავარიას გადაარჩინა.

პიონერი შ. მარგველაშვილი წარ დგენილია დასასაჩუქრებლად.

აგროტექნიკუმების სპორტსმენთა შეჯიბრება

ბოლნისი. (საკ. კორ.) ბოლნისში სამ დღეს მიმდ ნარეობდა რესპუბლიკის აგროტექნიკუმ სპორტსმენების რესპუბლიკური სპარტაკიად სპორტსმენები პირველობისათვის ერთმანეთ ეცილებოდნენ მძლეოსნობასა, ქართულ ჭიდაობასა და ფეხბურთში.

საერთო გუნდური პირველობა დიდი ჯილდ შის ტექნიკუმის გუნდს ხვდა, რომელმაც მ ხუთეულერ მოიპოვა სპარტაკიადის ტრადიციო ლი გარდამავალი დროშა და ჩემპიონის სახელ მეორე ადგილი ბორელებს ხვდათ, მესამეზე ა ცხაკიას რაიონის სპორტსმენები გამოვიდნ გამარჯვებულ გუნდებს და სპორტსმენებს გ დაეცათ სპორტის საქმეთა რესპუბლიკურ კომიტეტის და საზოგადოება „მოსაგლ რესპუბლიკური საბჭოს სიგელები.

სასამართლო ქრონიკა

გიორგი ისაკის-ძე თათეოსიანს და ლეონ გაბრიელის-ძე ბასიშვილს გაძარცვის მიზნ თ. თეთრაძის მძიმედ დაჭრისა და სხვა ნ ლაქეთა სისტემატური მძარცველობისათვ თბილისის მოლოტოვის რაიონის მეორე უ ნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა პირველ 18 წლის, ხოლო მეორეს 15 წლის შრომა-გ წორების ბანაკში პატიმრობა და ქონების კონ ფისკაცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ბერლინის საბჭოს ბიუროს ჩამოსვლა

ბერლინი, 4 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის საბჭოს ბიუროს ჩამოსვლა ბერლინში, ბ. ბ. ბ.